



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

N 3
29/01/2021

3-0-4-202101291419



ქ. სიღნაღში, ე.წ „ბებრების ბაღი“ -ს ტერიტორიაზე (ს/კ №56.14.41.285) 967 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 8 კვ.მ მიწის პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით სარგებლობის უფლებით (იჯარით) გადაცემასა და საიჯარო ქირის საფასურზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მეოთხე პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 15 დეკემბრის # 05/5565 წერილის საფუძველზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერს გიორგი გოგილაშვილს ქ. სიღნაღში, ლოლაშვილის ქუჩაზე, ე.წ „ბებრების ბაღი“-ს ტერიტორიაზე არსებული (ს/კ №56.14.41.285) 967 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 8 კვ.მ მიწა პირდაპირი წესით სასყიდლით სარგებლობის უფლებით (იჯარით) გადასცეს შ.პ.ს „ელვასერვის“-ს (ს.ნ 211399299), პრესის სარეალიზაციო ჯიხურის მოწყობის მიზნით.
2. საიჯარო ვადა განისაზღვროს 2024 წლის 14 მაისი.
3. იჯარის წლიური ქირა განისაზღვროს 250 ლარი.
4. დაევალოს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერს გიორგი გოგილაშვილს მოქმედი კანონმდებლობით უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმება.
5. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების გადაგზავნა სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიაში.

6. ეს განკარგულება განკარგულება ძალაში შევიდეს მხარეთათვის დადგენილი წესით გაცნობისთანავე.
7. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი ც. დადიანის ქ. #15) განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ილია ხატიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

